



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

\*MES2200000820672\*

MES 2 20 0000820672



11/09/2020

ქალაქების - თბილისის, გორის, რუსთავის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის, ბათუმისა და ქობულეთის ტერიტორიაზე მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ

„საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ღ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, და „ლ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 11 სექტემბრის N820303 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, რომლებიც საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებენ ქალაქებში - თბილისი, გორი, რუსთავი, ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი, ბათუმი და ქობულეთი, სასწავლო პროცესი 2020 წლის პირველ ოქტომბრამდე წარმართონ დისტანციურ რეჟიმში, ხოლო პირველი ოქტომბრიდან სასწავლო პროცესი განაგრძონ არადისტანციურ რეჟიმში;

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სასწავლო პროცესის დისტანციური ფორმით წარმართვის შეუძლებლობის შემთხვევაში, სწავლა შეწყვიტონ 2020 წლის პირველ ოქტომბრამდე;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,  
კულტურისა და სპორტის მინისტრი  
მიხეილ ჩხენკელი

